

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს

სხდომის ოქმი N3

15.06.2015წ.

სხდომის თავჯდომარე - ჯემალ მაგანია, რექტორის მ/შ, პროფესორი

სხდომის მდივანი - ნინო ქოჩაკიძე, პროფესორი

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ჯემალ მაგანია - რექტორის მ/შ, პროფესორი, საბჭოს თავჯდომარე
2. მანანა მნათობიშვილი - პროფესორი
3. ედუარდ ფეროიანი - ასოცირებული პროფესორი
4. დავით ხაჩიძე - ასოცირებული პროფესორი
5. კახა ხვედელიძე - ასოცირებული პროფესორი

დღის წესრიგი:

1. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის არჩევა;
2. სასწავლო უნივერსიტეტისათვის სახელის შეცვლის - ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის სახელით;
3. არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის ქართულის, როგორც მეორე ენის შესწავლისა და ინტეგრაციის პროგრამის განხილვა და დამტკიცება;
4. მიმდინარე საკითხები.

I. საკითხი

ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის არჩევა;

მოისმინეს: რექტორის მ/შ, პროფესორ ჯემალ მაგანიას ინფორმაცია ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის არჩევის შესახებ. მან საბჭოს მოახსენა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის N119/ნ ბრძანების მე-20 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე გამოცხადდა ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის არჩევნები, განცხადება შემოიტანა ორმა მაძიებელმა - ელისო კვანტალიანმა და ხატია ბუტიკაშვილმა. საბჭოს წევრებს წარედგინა ამ კანდიდატების პირადი საქმეები. დღეს უნდა

გაიმართოს კენჭისყრა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. მომხსენებელმა კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ჩატარდეს ეს არჩევნები ღიად თუ ფარულად. საბჭომ ერთხმად გადაწყვიტა, რომ კენჭისყრა ჩატარდეს ფარულად.

ფარული კენჭისყრის შედეგად დაფიქსირდა შემდეგი: ელისო კვანტალიანმა მიიღო -5 (ხუთი) ხმა, ხატია ბიტყაშვილმა -0(ნული).

საბჭომ კენჭისყრის შედეგად ერთხმად დაადგინა:

ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის თანამდებობაზე არჩეულ იქნას ელისო კვანტალიანი.

II. საკითხი

სასწავლო უნივერსიტეტისათვის სახელის შეცვლის -ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის სახელით;

მოისმინეს: საბჭოს სხდომაზე განსახილველად გამოტანილი მეორე საკითხის შესახებ უნივერსიტეტის რექტორის მ/შ, პროფესორ ჯემალ მაგანიას ინფორმაცია: მან საბჭოს წინაშე დააყენა წინადადება სასწავლო უნივერსიტეტისათვის სახელის შეცვლის შესახებ, რომ აღნიშნულ სასწავლებელს დაუბრუნდეს ძველი სახელწოდება - საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია;

აზრი გამოთქვას: პროფესორმა მ. მნათობიშვილმა, ასოც.პროფესორმა დ. ხაჩიძემ და კ. ხვედელიძემ, რომლებმაც მხარი დაუჭირეს რექტორის ინიციატივას და აღნიშნეს, რომ სპორტის აკადემია, რომელის 1994 წლიდან ერქვა ამ უმაღლეს სასწავლებელს, სწორედ ამსახელით იცნობედნ მას ყველა დონეზე და დღესაც საზღვარგარეთიდან წერილები მოდის სპორტის აკადემიის სახელზე.

საბჭომ ერთხმად დაადგინა: ეთხოვოს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, რომ დააყენოს საკითხი საქართველოს მთავრობის წინაშე სპორტის სასწავლო უნივერსიტეტისათვის საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის სახელის მინიჭების შესახებ;

III. საკითხი

არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის ქართულის, როგორც მეორე ენის შესწავლისა და ინტეგრაციის პროგრამის განხილვა და დამტკიცება;

მოისმინეს: მესამე საკითხის შესახებ უნივერსიტეტის რექტორის მ/შ, პროფესორ ჯემალ მაგანიას ინფორმაცია: მან საბჭოს წევრებს წარუდგინა ასოც. პროფესორის ნესტან ეგეტაშვილის მიერ შემუშავებული პროგრამა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის ქართულის, როგორც მეორე ენის შესწავლისა და ინტეგრაციის შესახებ.

აზრი გამოთქვას: ასოც. პროფესორმა დ. ხაჩიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამა შეესაბამება კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს მოთხოვნებს და აკმაყოფილებს მის მოთხოვნებს ყველა პარამეტრებით.

საბჭომ დაადგინა: წარმოდგენილი პროგრამა დამტკიცებულ იქნას.

IV. საკითხი

მიმდინარე საკითხად რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ჯ.მაგანიამ საბჭოს მოახსენა, რომ 16 ივნისს იწყება მისაღები გამოცდების შიდა ტური და დღეისათვის დაფიქსირებულია 150 აბიტურიენტი. მიმღები კომისია სრულ მზადყოფნაში ხვდება არნიშნულ გამოცდებს. ისიც მოახსენა საბჭოს, რომ აბიტურიენტთა რეგისტრაცია გაგრძელდა 2015 წლის 25 ივნისის ჩათვლით, რადგან გამოიკვეთა, რომ აბიტურიენტთა საქმაოდ დიდმა რაოდენობამ, რომლებმაც რეგისტრაცია გაიარეს გამოცდების ეროვნულ ცენტრში, არ იცოდნენ, რომ საჭირო იყო დამატებითი რეგისტრაცია სპორტის ინივერსიტეტში შიდა ტურის გასავლელად.

სხდომის თავჯდომარე, პროფესორი



ჯემალ მაგანია

სხდომის მდივანი, პროფესორი

ნინო ქოჩაკიძე